დამტკიცებულია
ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი-ის
აკადემიური საბჭოს 2025 წლის 4 აგვისტოს დადგენილებით

BAU ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წესი

ბათუმი
2025

სარჩევი

პრეამბულა 3

მუხლი 1. დაფინანსების ტიპები 3

მუხლი 2. დაფინანსების მიმღები პირები 3

მუხლი 3. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის დაფინანსება 3

მუხლი 4. უნივერსიტეტის საგრანტო კონკურსი 3

მუხლი 5. საგრანტო პროექტის შეფასება 5

მუხლი 6. საგრანტო პროექტის განხორციელება 6

მუხლი 7. სამეცნიერო პუბლიკაციის დაფინანსება 7

მუხლი 8. სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის დაფინანსება 8

მუხლი 9. სხვა სამეცნიერო აქტივობის დაფინანსება 8

ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წესი

პრეამბულა

ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი, (შემდგომში „უნივერსიტეტი“) საკუთარი ფინანსური რესურსებიდან ახდენს სამეცნიერო კვლევების, სამეცნიერო და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის დაფინანსებას შესაბამისი წლის ბიუჯეტში გამოყოფილი სახსრების ფარგლებში წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

მუხლი 1. დაფინანსების ტიპები

1. უნივერსიტეტის მიერ ფინანსდება შემდეგი სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები
   ა). სამეცნიერო-კვლევითი პროექტის დაფინანსება;
   ბ). სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების დაფინანსება;
   გ). სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის დაფინანსება;
   დ). სამეცნიერო-საგანმანათლებლო (კონფერენციების და საზაფხულო/ზამთრის სკოლების) ღონისძიების ორგანიზების დაფინანსება
2. აკადემიური პერსონალის მიერ კვლევით აქტივობაზე დახარჯული დროითი რესურსი კომპენსირდება შესაბამისი პოზიციისთვის გათვალისწინებული აკადემიური დატვირთვის ფარგლებში, უნივერსიტეტის „აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესის“ შესაბამისად.

მუხლი 2. დაფინანსების მიმღები პირები

2.1 უნივერსიტეტის დაფინანსების მიღების უფლება აქვს უნივერსიტეტის აფილირებულ აკადემიურ პერსონალს.

მუხლი 3. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის დაფინანსება

სამეცნიერო კვლევითი პროექტის დაფინანსება შესაძლებელია მოიცავდეს:

ა). საუნივერსიტეტო გრანტის ფარგლებში კვლევის დაფინანსებას.

ბ). დონორი ორგანიზაციის მიერ საგრანტო კონკურსის ფარგლებში პროექტის თანადაფინანსებას.

გ). უნივერსიტეტისა და სხვა ინსტიტუცი(ებ)ის მიერ ერთობლივად განხორციელებული კვლევის (თანა)დაფინანსებას.

მუხლი 4. უნივერსიტეტის საგრანტო კონკურსი

4.1 აკადემიური წლის დასაწყისში მომავალი აკადემიური წლისთვის ცხადდება საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსი;

4.2 საგრანტო კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადის შეტანის უფლება აქვს უნივერსიტეტის აფილირებულ აკადემიურ პერსონალს.

4.3. დასაშვებია საგრანტო პროექტის გუნდში სხვა პირების ჩართვა, თუ აღნიშნული არ იწვევს აფილირების კონფლიქტს სხვა ინსტიტუციასთან კონკურსის სამეცნიერო შედეგების გამოყენების ნაწილში.
4.4. საგრანტო კონკურსი მოიცავს საგარანტო განაცხადების მიღების, გადარჩევის, დამოუკიდებელი კომისიის მიერ მათი შეფასების, გამარჯვებულთა გამოვლენის, დაფინანსების, შუალედური და დასკვნითი ანგარიშგების ეტაპებს.
4.5. კონკურსის შესახებ განცხადება თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
4.6. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მონაწილემ უნივერსიტეტში უნდა წარმოადგინოს:

ა). განცხადება კონკურსში მონაწილეობის თაობაზე (დანართი 1).

ბ). საპროექტო განაცხადი - კვლევითი პროექტის აღწერა, დანართი 2-ის შესაბამისად.

გ). პროექტის ბიუჯეტი - ამ წესის დანართი 3-ის შესაბამისად

დ) პროექტის ლოგიკური ჩარჩო, დანართი 4-ის შესაბამისად

ე). ინფორმაცია პროექტში ჩართული პირების - პროექტის გუნდის შესახებ. უნივერსიტეტთან კავშირში არმყოფი პირების პროექტის გუნდიში შეყვანის შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი პირების CV-ები.

ვ). პროექტის ეთიკური რევიუს განაცხადი (დანართი 5).

ზ). სხვა დოკუმენტაცია - პროექტის გუნდის შეხედულებისამებრ.

4.7. არასრულად წარმოდგენილი განაცხადის შემთხვევაში, უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას განუსაზღვროს განმცხადებელს გონივრული ვადა ინფორმაციის შევსებისათვის, ხოლო მისი შეუვსებლობის შემთხვევაში - განუხილველად დატოვოს განაცხადი.
4.8. საგრანტო განაცხადის ბიუჯეტში, შესაძლებელია შემდეგი ხარჯვითი კომპონენტების გათვალისწინება:

ა). კვლევითი მასალების, რეაქტივების, ნაკრებების, აპარატურის შეძენის ხარჯები.

ბ). სუბკონტრაქტირების ხარჯები, მოწვეული მკვლევარის ან კვლევაში ჩართული სხვა პირების შრომის ანაზღაურება, კვლევასთან დაკავშირებული ერთჯერადი მომსახურების ხარჯები.

გ). სამივლინებო ხარჯი, გაანგარიშებული მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად

დ). კონფერენციაზე რეგისტრაციის, კვლევის ფარგლებში შექმნილი სამეცნიერო ნაშრომის პუბლიკაციის ხარჯები.

ე). სხვა ხარჯები რომელთა მიზნობრიობა გამომდინარეობს პროექტის შინაარსიდან.

4.9. საგრანტო პროექტის წარმდგენის, ასევე, კვლევაში ჩართული აფილირებული აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურება ხორციელდება უნივერსიტეტის „აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესით“ განსაზღვრული არასააუდიტორიო აქტივობიდან.
4.10. პერსონალს შორის რესურსის მაქსიმალურად განაწილების მიზნით, გამოიყენება საგრანტო აპლიკაციების რაოდენობის მიმართ შემდეგი შეზღუდვები:

ა). განმცხადებელს ერთდროულად შეუძლია არაუმეტეს ორი დაფინანსებული პროექტის ხელმძღვანელობა და დამატებით მაქსიმუმ ორ დაფინანსებულ პროექტში ყოფნა არახელმძღვანელი სტატუსით.

ბ). განმცხადებელს შეუძლია წელიწადში მხოლოდ ერთ საერთაშორისო კონფერენციაზე მონაწილეობის დაფინანსება გრანტის ფარგლებში.

გ). არ მიიღება განაცხადები იმ აპლიკანტისგან რომელსაც ჯერ არ დაუსრულებია/დაუხურია უკვე არსებული გრანტი და არ შეუსრულებია ნაკისრი ვალდებულებები ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რაოდენობის პროექტებში.

მუხლი 5. საგრანტო პროექტის შეფასება

1. საგრანტო განაცხადების პირველად შეფასებას, ამ წესით გათვალისწინებული ინფორმაციის სისრულეზე ახორციელებს უნივერსიტეტი.

2. საგრანტო განაცხადების შინაარსობრივ შეფასებას ახორციელებს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილი დამოუკიდებელი საგრანტო კომისია.

3. საგრანტო კომისია შედგება არანაკლებ 5 წევრისგან, რომელთაც გააჩნიათ შესაბამის სფეროში კვლევითი მუშაობის გამოცდილება. კომისიის წევრების უმრავლესობა (არანაკლებ 3 წევრისა) უნდა იყოს დამოუკიდებელი (უნივერსიტეტთან შრომით ურთიერთობაში არ მყოფი) პერსონალი.

4. უნივერსიტეტი უფლებამოსილია უზრუნველყოს საგრანტო პროექტის ავტორებისა და კომისიის წევრების კონფედენციალობა (Double blind review). აღნიშნული წესიდან გამონაკლისი დაიშვება იმ შემთხვევაში თუ:

ა) კომისიის მოთხოვნით, მნიშნელოვანია პროექტის მონაწილე გუნდის წევრების იდენტიფიცირება, მაგალითად, მათი სამეცნიერო პროფილის დეტალური ანალიზის მიზნით.

ბ) კომისიის მოთხოვნით, ჩანიშნულია პროექტის ზეპირი მოსმენა (pitch)

5. საგრანტო პროექტის შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

პროექტის სამეცნიერო ღირებულება

ა). აქტუალობა, სიახლე და პრობლემის ჩამოყალიბების სიცხადე

ბ). კვლევის მეთოდოლოგიის სისწორე და შესაბამისობა

გ). მოსალოდნელი კვლევის შედეგების მეცნიერული ღირებულება, პრაქტიკული გამოყენების პოტენციალი და დისემინაციის გეგმა

დ). ინტერდისციპლინარული ინტეგრაცია და სექტორებთშორისი გავლენის პოტენციალი

ე). ადამიანური კაპიტალის განვითარებაში წვლილი

(პროფესორების/სტუდენტების, ახალგაზრდა მკვლევარების ჩართულობა

პერსონალი

ვ). პროექტის გუნდის წევრთა კვალიფიკაცია და შესაბამისი გამოცდილება

ზ). წარსული სამეცნიერო გამოცდილება შესაბამის კვლევით სფეროში

თ). უნარების შესაბამისობა და ჩართულობის ხარისხი

კვლევითი ერთეულები

ი). ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური რესურსებისშესაბამისობა

კ). ადმინისტრაციული რესურსის შესაბამისობა

პროექტის მენეჯმენტი

ლ) პროექტის გეგმის რეალისტურობა და განხორციელებადობა

მ). ბიუჯეტის მიზნებთან შესაბამისობა

ნ). რისკების შეფასება და მართვის სტრატეგია

ეთიკა და საზოგადოებრივი გავლენა

ო). ეთიკურ და რეგულაციურ მოთხოვნებთან შესაბამისობა

პ). საზოგადოებრივი ან პოლიტიკის გავლენის პოტენციალი

6. თითოეული კომპონენტი ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

ა). 5 - შესანიშნავი

ბ). 4 - ძალიან კარგი

გ). 3 - კარგი

დ). 2 - საშუალო

ე). 1 - სუსტი

7. შეფასებასთან ერთად კომისია აფიქსირებს შემფასებლის კომენტარს თითოეულ შეფასებულ კომპონენტთან. შეფასება ხორციელდება შეფასების რუბრიკის მიხედვით (დანართი 6).

8. პროექტი ჩაითვლება შეფასების ზღვარის გადალახულად, თუ ის დააგროვებს არანაკლებ 52 ქულას 75-დან (საშუალედო 3.5 ქულა შეფასების თითოეულ კრიტერიუმში).

9. პროექტის წარმდგენი უფლებამოსილია წარმოადგინოს აპელაცია, კომისიის შეფასებაზე. აპელაცია უნდა ეყრდნობოდეს ამ მუხლის მე-5 პუნქტთან საგრანტო წინადადების შესაბამისობებს და პასუხობდეს კომისიის კომენტარებს.

10. საგრანტო კომისია განიხილავს აპელაციას საგრანტო განაცხადის შეფასებისთვის დადგენილი პროცედურით და გამოაქვს საბოლოო გადაწყვეტილება.

მუხლი 6. საგრანტო პროექტის განხორციელება

6.1. უნივერსიტეტი, საგრანტო კომისიის შეფასების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას იმ პროექტ(ებ)ის დაფინანსებაზე, რომლებმაც დაიმსახურეს კომისიის დადებითი შეფასება (გადალახეს დადებითი შეფასების ზღვარი) და რომელთა განხორციელება შესაძლებელია მიმდინარე საგრანტო ბიუჯეტის ფარგლებში.

6.2. პროექტი, რომელიც გადალახავს დადებითი შეფასების ზღვარს, მაგრამ ვერ დაფინანსდება მიმდინარე საგრანტო ბიუჯეტის ფარგლებში, მონაწილეობას მიიღებს შემდეგ საგრანტო კონკურსში, დამატებითი შეფასების გარეშე.

6.3. პროექტის დაფინანსება ხდება მისი განხორციელების ჩარჩოს შესაბამისად გათვალისწინებული აქტივობების დასაფინანსებლად ყოველთვიური უნაღდო ანგარიშსწორების გზით. უნივერსიტეტი და პროექტის გუნდი უფლებამოსილი არიან შეთანხმდნენ პროექტის დაფინანსების განსხვავებულ ვადებზე.

6.4. უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეაჩეროს პროექტის დაფინანსება წინა საანგარიშო პერიოდის შესაბამისი ანგარიშგების მიღებამდე.

6.5. გრანტის გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ მიზნისთვის, რისთვისაც იგი ხელმისაწვდომი გახდა, როგორც ეს მითითებულია შესაბამის განაცხადში. ნებისმიერი ცვლილება წინასწარ უნდა შეთანხმდეს უნივერსიტეტთან და აისახოს მოდიფიცირებულ

გეგმაში. შეთანხმების გარეშე პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ანაზღაურებას არ ექვემდებარება.
6.6. სამართლებრივი ურთიერთობები პროექტის გუნდსა და უნივერსიტეტს შორის წესრიგდება საგრანტო ხელშეკრულებით. (დანართი 7).
6.7. გრანტის მიმღებმა, პროექტის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში, აკადემიურ საბჭოს უნდა წარუდგინოს ანგარიში. გარდა სახსრების გამოყენების შესახებ ანგარიშგებისა, გრანტის მიმღებმა უნდა აღწეროს კვლევის შედეგი და მისი ღირებულება.

მუხლი 7. სამეცნიერო პუბლიკაციის დაფინანსება

7.1. სამეცნიერო პუბლიკაციის დაფინანსება გულისხმობს ბენეფიციარის მიერ მომზადებული სამეცნიერო პუბლიკაციის (სტატიის) დაფინანსებას საერთაშორისო რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში.
7.2. სამეცნიერო პუბლიკაციის დაფინანსების უფლებით სარგებლობენ:

ა). უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალი

ბ). უნივერსიტეტის სტუდენტები, რომელთა სამეცნიერო სტატიამ შემფასებლების მხრიდან გამორჩეული შეფასება და ჟურნალში გამოქვეყნების რეკომენდაცია დაიმსახურა.

7.3. უნივერსიტეტის მხრიდან ფინანსდება:

ა). Q1 დონის ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია [Open Access](სრულად).

ბ). Q2 დონის ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია [Open Access] (არანაკლებ 75%).

გ). სხვა რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია [Open Access] (არანაკლებ 50%-ით).

7.4. სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აფილირებული ავტორების მიერ სტატიის წარდგენის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული დაფინანსების ოდენობა იყოფა აფილირებულ დაწესებულებათა რაოდენობაზე.
7.5. დაფინანსების მოთხოვნისთვის უნივერსიტეტის პერსონალი წარადგენს განაცხადის ფორმას (დანართი 7) რომლითაც აღწერს ჟურნალის დასახელებას, ISSN-ს, რეიტინგს Clarivate ან Scimago-ს მიხედვით, ანგარიშსწორებისა და პუბლიკაციის ვადებს.
7.6. შესრულების ანგარიშგებისთვის, ავტორმა განაცხადით განსაზღვრულ ვადაში უნდა წარადგინოს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (ინვოისი) ასევე სტატიის პუბლიკაციის ამსახველი ინფორმაცია, შემოწმებადი ბმულების სახით.
7.7. რეცენზენტის მიერ სტატიის უარყოფის შემთხვევაში, უნივერსიტეტიდან მიღებული (თანა)დაფინანსება ექვემდებარება დაბრუნებას, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 8. სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის დაფინანსება

8.1. სამეცნიერო ღონისძიებაში (კონფერენცია, სიმპოზიუმი, კონგრესი ან სხვა) მონაწილეობის დაფინანსება განიხილება შეთავაზებული ღონისძიების ხარისხის, იმპაქტის, საგანმანათლებლო პროგრამის ან უნივერსიტეტის განვითარების პრიორიტეტებთან შესაბამისობის შეფასების საფუძველზე.

8.2. სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის (თანა)დაფინანსების მოთხოვნის უფლება აქვს უნივერსიტეტის აფილირებულ პერსონალს, თუ აღნიშნული კომპონენტი არ არის შეყვანილი უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული სხვა სამეცნიერო აქტივობის (მაგ. გრანტი) ბიუჯეტში.

8.3. სამეცნიერო ღონისძიებაში **მონაწილეობის** დასაფინანსებლად აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს:

- წინასწარი ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს საუნივერსიტეტო და თანადაფინანსების ნაწილებს.
- ღონისძიების პროგრამა
- დადასტურება ღონისძიებაში მონაწილეობაზე
- წარსადგენი ნაშრომის რეზიუმე, არსებობის შემთხვევაში, ან სავარაუდო მოსამზადებელი ნაშრომის სათაური.

8.4. სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის მიზანშეწონილობის შესახებ შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭო გასცემს რეკომენდაციას, რომელიც გადაეცემა კომისიას, დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

8.5. კომისია უფლებამოსილია უნივერსიტეტის რექტორს წარუდგინოს რეკომენდაცია:

ა) ღონისძიების დაფინანსების შესახებ
ბ) ნაწილობრივი დაფინანსების შესახებ
გ) დაფინანსებაზე უარის შესახებ

მუხლი 9. სხვა სამეცნიერო აქტივობის დაფინანსება

9.1. სამეცნიერო აქტივობები რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე წესით (სახელმძღვანელოს ან მონოგრაფიის გამოქვეყნება, კონფერენციის ან სხვა სამეცნიერო აქტივობის ორგანიზება და სხვა.) შესაძლებელია დაფინანსდეს ან თანადაფინანსდეს უნივერსიტეტის მიერ საინიციატივო წინადადების განხილვისა და შეფასების საფუძველზე.

9.2. საინიციატივო წინადადების მიღების შემდეგ, უნივერსიტეტი ქმნის დროებით კომისიას, რომელიც აფასებს წარმოდგენილ წინადადებას და განსაზღვრავს დამატებითი ინფორმაციის წრეს, რომელიც აუცილებელია კომისიის მიერ რეკომენდაციის გაცემისთვის (რეცენზიები მონოგრაფიაზე, ღონისძიების პროგრამა, ბიუჯეტი და სხვა).

9.3. სამეცნიერო აქტივობების დაფინანსების მიზანშეწონილობის თაობაზე რეკომენდაციას კომისია გასცემს დამატებითი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე.

დანართი 1

ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის შესახებ

განმცხადებელი: _____

აკადემიური თანამდებობა: _____

უნივერსიტეტის საგრანტო კონკურსში მონაწილეობისთვის წარმოგიდგენთ პროექტს:

_____

პროექტის სახელწოდება

განაცხადს თან ერთვის:

1. საპროექტო წინადადება – – გვ.

2. პროექტის ბიუჯეტი - გვ.

3. პროექტის გეგმა-გრაფიკი ---გვ.

4. ინფორმაცია პროექტის გუნდის მონაწილეების და ფუნქციების შესახებ ---გვ.

5. პროექტის ეთიკური რევიუს განაცხადი ---გვ.

ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი პროექტი წარმოადგენს პროექტის ავტორისა და პროექტის გუნდის აუთენტური ინტელექტუალური შემოქმედების ნაყოფს.

ვადასტურებ, რომ პროექტი განხორციელებადია არსებული სამართლებრივი ჩარჩოს, ინსტიტუციური პოლიტიკებისა და ეთიკური სტანდარტების გათვალისწინებით და

პასუხისმგებელი ვარ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე

_____

(ხელმოწერა)

თარიღი: – –/ – –/---------- წ.

Appendix 1

To BAU International University, Batumi

A P P L I CA T I O N

For Participation in Grant Competition

Applicant: _____

Academic Position: _____

For participation in University Grant Competition I hereby present project:

_____

Project title

Documents attached:

1. Project proposal – – p.

2. Project budget - p.

3. Project framework ---p.

3. List of project participants and functions in the Project ---p.

4. Ethical review application ---p.

I confirm that the submitted project represents the authentic intellectual creativity of the project author and the project team.

I confirm that the project is feasible taking into account the existing legal framework, institutional policies and ethical standards and I am responsible for the accuracy of the information submitted

_____

(Signature)

Date: – –/ – –/-------

დანართი 2

სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო წინადადების აღწერილობა

პროექტის დასახელება:

პროექტის ხანგრძლივობა:

პროექტის ღირებულება, მათ შორის უნივერსიტეტის დაფინანსების, სხვა მხარის დაფინანსების, არსებობის შემთხვევაში - თანადაფინანსების ოდენობა.

პროექტის ხელმძღვანელი:

1. **აბსტრაქტი:**
   პრობლემის ან საჭიროების მოკლე მიმოხილვა, პროექტის მიზნები, ძირითადი აქტივობები და მოსალოდნელი შედეგები, მოთხოვნილი ბიუჯეტის ჯამური ოდენობა
2. **საკვლევი საკითხის აქტუალობა / პროექტის მეცნიერული სიახლე;**
   ა). იმ პრობლემის აღწერა, რომლის გადაჭრასაც აპირებთ
   ბ). საჭიროების დასაბუთება (მონაცემები, სტატისტიკა, ლიტერატურის მიმოხილვა, შემთხვევის კვლევები)
   გ). არსებული გადაწყვეტილებების ხარვეზები
3. **პროექტის მიზნები და ამოცანები;**
   ა). მიზანი: ფართო, გრძელვადიანი სასურველი ცვლილება
   ბ). ამოცანები მიზნის მიღწევისკენ გადადგმული კონკრეტული, გაზომვადი ნაბიჯები (იწერება SMARTკრიტერიუმების გამოყენებით: კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, შესაბამისი, დროში შეზღუდული)
4. **პროექტის მეთოდოლოგია, მისი შესაბამისობა პროექტის მიზანსა და ამოცანებთან;**
   ა). დაგეგმილი აქტივობების აღწერა
   ბ). ვადები (შესაძლოა განტის დიაგრამის სახით)
   გ). როლები და პასუხისმგებლობები
   დ). პარტნიორობა და თანამშრომლობა
   ე). გამოყენებული ინსტრუმენტები, მეთოდები და ტექნოლოგიები
   ვ). ეთიკური მოსაზრებები
   ზ). რისკების მართვის გეგმა
5. **მოსალოდნელი შედეგები, სამეცნიერო ან /და პრაქტიკული ღირებულება და კვლევის შედეგების გავრცელების პერსპექტივა**
   ა) შედეგები მეცნიერების/დარგის განვითარებისათვის
   ბ) ზემოქმედება და სარგებელი სამიზნე ჯგუფებისთვის
   გ) შედეგების გაზომვის ინდიკატორები
   დ) მდგრადობის გეგმა (როგორ გაგრძელდება შედეგები დაფინანსების პერიოდის შემდეგ)
6. **შეფასებისა და მონიტორინგის გეგმა**
   ა). შეფასების კრიტერიუმები,
   ბ). ანგარიშგების სიხშირე
7. **კვლევისათვის საჭირო რესურსები (ადამიანური, მატერიალური, ტექნიკური)**

პროექტის განაცხადთან ერთად წარედგინება პროექტის ბიუჯეტი (დანართი 3);

და პროექტის ლოგიკური ჩარჩო, განხორციელების ვადების მითითებით (დანართი 4);

Appendix 2

Contents for Scientific Research Project Proposal

Project Title:

Project Duration:

Project Budget:

Project Leader:

1. Abstract

A short overview of the problem or need, project objectives, main activities, expected outcomes, and total budget requested

2. Relevance of the Research Topic / Scientific Novelty of the Project

a). Description of the issue you aim to address
b). Evidence of need (data, statistics, literature review, case studies)
c). Gaps in existing solutions

3. Project Goals and Objectives

a). Goal: The broad, long-term desired change
b). Objectives: Specific, measurable steps toward achieving the goal
(Often written using SMART criteria: Specific, Measurable, Achievable, Relevant, Time-bound)

4. Project Methodology

a). Description of planned activities and tasks
b). Timeline (possibly as a Gantt chart)
c). Roles and responsibilities
d). Partnerships and collaborations
e). Tools, methods, and technology used
f). Ethical considerations (especially in research or human subject work)
g). Risk management plan

5. Expected Outcomes, Scientific and/or Practical Value, Contribution to the Field and Dissemination Strategy

a). Tangible outputs (deliverables)
b). Intended impact and benefits for target groups
c). How success will be measured (KPIs, indicators)
d). Sustainability plan (how results will last beyond the funding period

6. Evaluation and monitoring plan

a). Evaluation criteria,
b). Reporting frequency

7. Resources required for research (human, material, technical)

Additionally,
Project Budget Overview *(see detailed table in Appendix 3)*
(Provide a brief explanation of how funds will be allocated—staff, equipment, travel, etc.)
And
Project Timeline *(Appendix 4)*
(Include main phases and deliverables over time.) to be presented.

დანართი 3.

საგრანტო პროექტის ბიუჯეტი

პროექტის სახელწოდება:	
გრანტის ხელმძღვანელი	
პროექტის ხანგრძლივობა (თვეები):	

N	კატეგორია	განხორციელების პერიოდი (თვე)												სულ ხარჯი
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
შრომის ანაზღაურება														
საქონელის და მომსახურების შესყიდვა														
მივლინება, კვლევითი ვიზიტი, საველე სამუშაო														
კვლევის შედეგების პუბლიკაციის და დისემინაციის ხარჯი														
სხვა ხარჯი														
	სულ ხარჯი													

ბიუჯეტს უნდა დაერთოს აღწერილობითი ნაწილი, სადაც დასაბუთებულია ხარჯი ბიუჯეტით გათვალისწინებული ყველა კატეგორიისთვის

Annex 3.

Grant Project Budget

Project Name	
Project Leader	
Project Duration (Month)	

N	Category	Implementation Periond (month)												Total Cost
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
Reimbursement														
Purchase of Goods and Services														
Research trip, Field Work														
Research Publication and Dissemination Cost														
Other Cost														
	Total Cost													

Budget plan shall be accompanied with detailed description for all necessary categories

პროექტის განხორციელების ჩარჩო

პროექტის სახელი	
პროექტის ხელმძღვანელი	
როექტის ხანგრძლივობა	

N	პროექტის განხორციელების ფაზები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	მიღწევის ინდიკატორი
1	მოსამზადებელი ფაზა													
2	მთავარი ფაზა													
3	შედეგების დისემინაციის ფაზა													

Annex 4

Project Framework

პროექტის სახელი	
პროექტის ხელმძღვანელი	
როექტის ხანგრძლივობა	

N	პროექტის განხორციელების ფაზები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	მიღწევის ინდიკატორი
1	მოსამზადებელი ფაზა													
2	მთავარი ფაზა													
3	შედეგების დისემინაციის ფაზა													

BAU International University Batumi

APPLICATION FOR ETHICAL REVIEW / ეთიკური რევიუს განაცხადი

N.___ /

1. APPLICANT INFORMATION / 1. ინფორმაცია განმცხადებელზე

Full Name / სახელი, გვარი	
Position / პოზიცია	
Direction / მიმართულება	
University Email / უნივერსიტეტის ელფოსტა	
Phone Number / ტელეფონის ნომერი	
Supervisor (if applicable) ხელმძღვანელი (თუ რელევანტურია)	

2. PROJECT INFORMATION / 2. ინფორმაცია პროექტზე

Title of the Research Project კვლევითი პროექტის სათაური		
Research Type (tick all that apply) კვლევის ტიპი (მონიშნეთ შესაბამისი):	☐ Quantitative / რაოდენობრივი ☐ Qualitative / ხარისხობრივი ☐ Mixed / შერეული	
Area of Study / კვლევის სფერო		
Funding Source (if any) დაფინანსების წყარო (არსებობის შემთხვევაში)		
Proposed Start and End Dates დაწყება-დასრულების სავარაუდო თარიღები	From / დან	To / მდე
Location(s) of Research Activities კვლევის ჩატარების ადგილი(ები):		

3. RESEARCH TEAM / 3. კვლევითი გუნდი

List all members involved in the research project

ჩამოთვალეთ ყველა წევრი კვლევით პროექტში:

Name / სახელი	Role / როლი	Affiliation / აფილირება	Email / ელფოსტა

4. PARTICIPANT DETAILS / 4. მონაწილეთა დეტალები

Does the study involve human participants? კვლევა ითვალისწინებს ადამიან მონაწილეებს?	☐ Yes / დიახ ☐ No / არა
Does it involve minors? მოიცავს კვლევა არასრულწლოვნებს?	☐ Yes / დიახ ☐ No / არა
Does it involve vulnerable populations? მოიცავს თუ არა მოწყვლად ჯგუფებს?	☐ Yes / დიახ ☐ No / არა
Estimated number of participants მონაწილეთა სავარაუდო რაოდენობა:	

5. ETHICAL CONSIDERATIONS / 5. ეთიკური საკითხები

a. Purpose and Objectives of the Research / კვლევის მიზანი და ამოცანები:

b. Methodology and Procedures / მეთოდოლოგია და პროცედურები:

c. Recruitment and Informed Consent Process / მონაწილეთა შერჩევა და ინფორმირებული თანხმობის მიღება:

d. Risks and Benefits to Participants / რისკები და სარგებელი მონაწილეთათვის:

e. Confidentiality and Data Protection Measures / კონფიდენციალობისა და მონაცემთა დაცვის ზომები:

f. Use of Audio/Video Recording (if any) / აუდიო/ვიდეო ჩანაწერის გამოყენება (თუ არის):

6. DOCUMENTS ATTACHED / 6. თანდართული დოკუმენტები

Please check all that apply / მონიშნეთ ყველა შესაბამისი:

☐ Research Proposal / კვლევითი წინადადება

☐ Informed Consent Form(s) / ინფორმირებული თანხმობის ფორმა(ები)

☐ Participant Information Sheet / მონაწილეთა საინფორმაციო ფურცელი

☐ Survey or Interview Questions / კითხვარები ან ინტერვიუს კითხვები

☐ Recruitment Materials (ads, posters) / რეკრუტირების მასალები (რეკლამები, პოსტერები)

☐ Supervisor Approval Letter / ხელმძღვანელის დამტკიცების წერილი

☐ Other: _____ / სხვა: _____

7. DECLARATION / 7. განცხადება

I confirm that the information provided is accurate and complete. I agree to conduct the research in accordance with ethical principles and the university's research policies.ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია და სრული. ვეთანხმები კვლევის ჩატარებას ეთიკური პრინციპების და უნივერსიტეტის პოლიტიკის შესაბამისად.

Signature of Applicant / განაცხადის შემტანის ხელმოწერა: _____

Date / თარიღი: _____

Signature of Supervisor (if applicable) / ხელმძღვანელის ხელმოწერა (თუ არის საჭირო): _____

Date / თარიღი: _____

Research Project Evaluation Rubric

Maximum of 75 Points (5-Point Scale)

Scoring Key: 1 = Poor, 2 = Fair, 3 = Good, 4 = Very Good, 5 = Excellent

Criterion	Max	Score	Reviewer Comments
Section 1 – Quality of Scientific Research Activity (Total 25 points)			
Relevance, originality, and clarity of problem formulation/objectives	5		
Soundness and appropriateness of methodology	5		
Scientific value, potential application, and quality of dissemination plan	5		
Interdisciplinary integration and potential for cross-field impact	5		
Contribution to human capacity development	5		
Section 2 – Personnel (Total 15 points)			
Qualifications and relevant expertise of team members	5		
Scientific productivity and track record in relevant research	5		
Complementarity of skills and quality of collaboration	5		
Section 3 – Research Units (Total 10 points)			
Adequacy of facilities, technical resources, and research environment	5		
Institutional capacity to support administration, ethics, and compliance	5		
Section 4 – Project Management (Total 15 points)			
Realism and feasibility of the project plan	5		
Appropriateness of budget relative to objectives	5		
Risk assessment and mitigation strategy	5		
Section 5 – Ethics & Societal Impact (Total 10 points)			
Ethical and regulatory compliance	5		
Societal or policy impact	5		

Threshold: ≥ 52 points (average ≥ 3.5 per criterion).

კვლევითი პროექტის შეფასების რუბრიკა

მაქსიმუმ 75 ქულა

შეფასების სისტემა: 1 = სუსტი, 2 = საშუალო, 3 = კარგი, 4 = ძალიან კარგი, 5 = შესანიშნავი

კრიტერიუმი	მაქს	შეფასება	შემფასებლის კომენტარი
სექცია 1 – სამეცნიერო ღირებულება (ჯამი 25 ქულა)			
აქტუალობა, სიახლე და პრობლემის ჩამოყალიბების სიცხადე	5		
კვლევის მეთოდოლოგიის სისწორე და შესაბამისობა	5		
მოსალოდნელი კვლევის შედეგების მეცნიერული ღირებულება, პრაქტიკული გამოყენების პოტენციალი და დისემინაციის გეგმა	5		
ინტერდისციპლინარული ინტეგრაცია და სექტორებთშორისი გავლენის პოტენციალი	5		
ადამიანური კაპიტალის განვითარებაში წვლილი *(პროფესორების/სტუდენტების, ახალგაზრდა მკვლევარების ჩართულობა*	5		
სექცია 2 –პერსონალი (ჯამი 15 ქულა)			
პროექტის გუნდის წევრთა კვალიფიკაცია და შესაბამისი გამოცდილება	5		
წარსული სამეცნიერო გამოცდილება შესაბამის კვლევით სფეროში	5		
უნარების შესაბამისობა და ჩართულობის ხარისხი	5		
სექცია 3 – კვლევითი ერთეულები			
ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური რესურსებისშესაბამისობა	5		
ადმინისტრაციული რესურსის შესაბამისობა	5		
სექცია 4 – პროექტის მენეჯმენტი			
პროექტის გეგმის რეალისტურობა და განხორციელებადობა	5		
ბიუჯეტის მიზნებთან შესაბამისობა	5		
რისკების შეფასება და მართვის სტრატეგია	5		
სექცია 5 – ეთიკა და საზოგადოებრივი გავლენა			
ეთიკურ და რეგულაციურ მოთხოვნებთან შესაბამისობა	5		
საზოგადოებრივი ან პოლიტიკის გავლენის პოტენციალი	5		

ზღვარი: ≥ 52 ქულა (საშ ≥ 3.5 კრიტერიუმში).

BAU International University Batumi

დანართი 7

ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სამეცნიერო სტატიის პუბლიკაციის დაფინანსების შესახებ

განმცხადებელი: _____

აკადემიური თანამდებობა: _____

უნივერსიტეტის აფილირებით გამოქვეყნებისათვის წარმოვადგენ სტატიას:

_____

სტატიის სახელწოდება

ინფორმაცია (თანა)ავტორების შესახებ			
N	*ავტორი*	*აფილირება*	*ORCid პროფილი*
1			
2			
3			

ინფორმაცია ჟურნალის შესახებ		
სახელწოდება		
ISSN		
რეიტინგი	◻ Q1 ◻ Q2 ◻ სხვა რეფერირებადი	**წყარო** ◻ Scimago Journal Rank ◻ Clarivate
ჟურნალის ბმული		
კომენტარი		

ინფორმაცია (თანა)დაფინანსების შესახებ	
Open Access პუბლიკაციის ღირებულება	
მტკიცებულება (ბმული ან ინვოისი დანართში)	
უნივერსიტეტიდან მოთხოვნილი დაფინანსება	
გადახდის ვადა	
შეფასების მიღების ვადა	
გამოქვეყნების ვადა	

ვადასტურებ, რომ წარდგენილი სტატია წარმოადგენს განცხადებაში მითითებული ავტორების აუთენტური ინტელექტუალური შემოქმედების ნაყოფს.

ვადასტურებ, რომ წარდგენილი სტატია შესაბამისობაშია ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკასთან და ავტორთა ჯგუფის მიერ გათვალისწინებულია გამომცემლის მიერ განსაზღვრული ჩარჩო მოთხოვნები.

დანართი: ◻ სტატიის აბსტრაქტი ◻ სტატია

ხელმოწერა **თარიღი**

Appendix 7
To BAU International University, Batumi

A P P L I C A T I O N
For Financing an Academic Publication

Applicant: _____
Academic Position: _____
I submit for publishing with afiliation with the University an Article

_____

Article title

Information on (co)authors			
N	*Author*	*Affiliation*	*ORCid Profile*
1			
2			
3			

Information on Journal		
Name		
ISSN		
Rank	◻ Q1 ◻ Q2 ◻ Other Peer-Reviewed	*Verification source* ◻ Scimago Journal Rank ◻ Clarivate
Journal webpage		
Comment		

Information on (co)financing	
Cost of Open Access publication	
Evidence:(link or invoice attachment)	
Funds required from the University:	
Due date	
Review date	
Publication date	

Hereby, I confirm that the submitted article represents the authentic intellectual creation of the authors, indicated in the application.
I confirm, that the submitted article complies with the editorial policy of the journal and that the group of authors has taken into account the framework requirements specified by the publisher.

Annex(es) ◻ Article abstract ◻ Article

Signature Date